7.04.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეოთხე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- სიახლეები ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ.
- კონსულტაციებში მონაწილე საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეფასებები გამართული შეხვედრების შესახებ.
- კონსულტაციის მომდევნო ეტაპების დეგეგმვა.
- ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ პრეზენტაცია.
- ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული სიახლეების წარდგენა.
- ანტიკორუფციული საბჭოს 14 აპრილის სხდომისათვის ღია მმართველობა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების მომზადება.
- სამომავლო გეგმებზე შეთანხმება.

2. სიახლეები ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ; გამართული შეხვედრების შეფასება

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა რუსუდან მიხელიძემ ფორუმის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ. 2014 წლის 7 აპრილის მდგომარეობით საქართველოს 11 ქალაქში გამართულია 14 შეხვედრა. შეხვედრებს უძღვებიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ერთობლივად. საჯარო კონსულტაციებში მონაწილე ფორუმის წევრებმა შეაჯამეს შეხვედრებზე გამოკვეთილი ძირითადი თემები, მათ შორის საჯარო სამსახურის რეფორმასთან, კონკურსების გამჭვირვალე წესების შემუშავებასთან, გამარტივებულ შესყიდვებთან, საჯარო სერვისების საფასურსა და სზოგადოებრივ ჩართულობასთან

დაკავშირებული საკითხები. რამდენიმე კონკრეტული მაგალითის შესახებ ისაუბრა ფორუმის მომხსენებელმა რუსუდან მიხელიძემ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ლევან ავალიშვილმა და საჯარო სამსახურის ბიუროს რეფორმისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა თამთა ცოცხალაშვილმა.

ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენელი დაინტერესდა თუ როგორ ხდება საზოგადოების ინფორმირება საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ. ღია მმართველობა საქართველოს (OGG) სამდივნოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების დახმარებით შეხვედრის შესახებ ეცნობება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, ადგილობრივ მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. უნივერსიტეტის შეხვედრების ორგანიზებას უზრუნველყოფს OGG სამდივნო უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით. სამდივნო, ასევე, შეხვედრის შესახებ ინფორმაციას განათავსებს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე, სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი კი უზრუნველყოფს მედიის ინფორმირებას.

3. კონსულტაციის მომდევნო ეტაპების დეგეგმვა.

საჯარო კონსულტაციების მომდევნო ეტაპები დაგეგმილია 10 და 11 აპრილს ქალაქ ბათუმში USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო 12 აპრილს ახალციხეში USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. დაგეგმვის პროცესშია შეხვედრები უნივერსიტეტებში თბილისის მასშტაბით. პირველ ეტაპზე კონსულტაციები საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა (GIPA) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 11 და 16 აპრილს გაიმართება. ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციები 15 აპრილს უნდა დასრულდეს.

4. ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ პრეზენტაცია.

ფორუმის მესამე სხდომაზე განხილულ იქნა ფონდის - „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ მომართვა ფორუმში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ფორუმის წევრთა ნაწილმა ვერ დაინახა ფონდის საქმიანობის სფეროს კავშირი ღია მმართველობასთან, უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ფონდის ფორუმში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე ფონდის წარმომადგენელთა იმ ინიციატივების მოსმენა, რომელიც მათი მოსაზრებით პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის გამოწვევებს და შესაძლებელია აისახოს საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში.

ფორუმის მეოთხე შეხვედრას ფონდის დირექტორი ირაკლი იზორია და პროექტების კოორდინატორი ქეთი მურუსიძე ესწრებოდნენ. ირაკლი იზორიამ ისაუბრა ორგანიზაციის მისიაზე, მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე და საქმიანობის რელევანტურობაზე ღია მმართველობის პარტნიორობის მიზნებთან. პრეზენტაციის ფარგლებში ფონდის დირექტორმა გამოყო ფორუმში გაწევრიანების 3 ძირითადი მიზანი, ესენია:

- საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები სამთავრობო სტრუქტურების გააქტიურება;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის, მედიისა და მოქალაქეების ჩართულობის და კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა;
- საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება.

ფორუმის წევრებმა ფონდის წარმომადგენლებს შესთავაზეს კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება შესაბამისი უწყებებისთვის, რათა უფრო ნათელი გახდეს რა ღონისძიებების განხორციელება შეიძლება დაიგეგმოს ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

5. ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული სიახლეების წარდგენა.

ფორუმს ახალი ვალდებულებები წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის უფროსმა კახა დემეტრაშვილმა. შემოთავაზებული ვალდებულებები ეხმიანება ღია მმართველობის სამ გამოწვევას (საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა) და გულისხმობს:

- სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზებას;
- ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის დაგეგმვა-განვითარებას (საჯარო სამსახურის ბიუროსთან პარტნიორობით);
- ელექტრონული აუქციონის სისტემის ფართომასშტაბიანი გამოყენების უზრუნველყოფას;
- საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზებას;
- სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვას ფინანსთა სამინისტროში;

- მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზებას.

ფორუმის წევრმა ლევან ავალიშვილმა დასვა კითხვა რამდენად ეხმიანება ჩამოთვლილი სისტემების განვითარება ღია მმართველობის გამოწვევებს და ხომ არ არის აღნიშნული უფრო მეტად ფინანსთა სამინისტროს შიდა სისტემების განვითარება. კახა დემეტრაშვილმა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი სისტემები ემსახურება 500 000 მომხმარებელს, ყოველდღიურად კი ახორციელებს 10 000 000 ტრანზაქციას, შესაბამისად ეს სისტემები ვერ იქნება აღქმული როგორც უწყების შიდა მოხმარების.

განხილვა შედგა ელექტრონული აუქციონის სისტემის ფართომასშტაბიან გამოყენებასთან დაკავშირებით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა დიანა ჩომახაშვილმა აღნიშნა, რომ სააგენტო აქტიურად იყენებს სისტემას, თუმცა მათი მოსაზრებით საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია და ამ მიმართულებით საჭიროა მეტი მუშაობა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით.

გაჩნდა იდეა მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, შეიქმნას საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც აუქციონების შესახებ სიახლეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით მიაწვდის საზოგადოებას. კახა დემეტრაშვილის თქმით, მსგავსი არ არის დაგეგმილი და შესაძლოა ასეთი ვალდებულება ექსკლუზიურად OGP-ის სამოქმედო გეგმისთვის გაიწეროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციის სამსახურის უფროსმა პავლე ოკუჯავამ ფორუმის წევრებს გააცნო კოორდინაციის სამსახურის გეგმა იმუშაოს სამინისტროს ყველა სსიპ-თან, რათა მიიღოს მათგან ღია მმართველობის გამოწვევების შესაბამისი ვალდებულებები. პავლე ოკუჯავას თქმით, სავარაუდოა, რომ ახლად შექმნილი სსიპ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტო შეურთდება სამოქმედო გეგმას, ვინაიდან მათი საქმიანობა სწორედ ღია მმართველობის ფარგლებში დასახულ მიზნებს შეესაბამება.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმს გააცნო საქართველოს პარლამენტის მიერ წარდგენილი საკითხები, რაც მათი მოსაზრებით ეხება ღია მმართველობის თემატიკას და შესაძლოა აისახოს ახალ სამოქმედო გეგმაში. პარლამენტი გეგმავს:

- შესწავლილ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა სახელმწიფო არქივების წვდომასა და მომსახურებაზე, ასევე მომსახურების ფასებზე და კვლევის შედეგების შესაბამისად მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები;
- განხორციელდეს პარლამენტის ვებგვერდის სისტემური განახლება, ახალი ფუნქციების დამატება. განახლებული ვებგვერდის მეშვეობით განხორციელდეს ერთდროულად ყველა კომიტეტის მუშაობის პირდაპირ ეთერში გაშვება;

- შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი: პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება და თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება.

6. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ:

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთი ცანავა
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	გიორგი ქორიძე
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	ირინა აღაპიშვილი, თამთა ცოცხალაშვილი
სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ნოდარ ხერხეულიძე, მანანა შურღულაია, გიორგი ლაცაბიძე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
სსიპ ცესკოს სწავლების ცენტრი	ნათია ზაალიშვილი
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	დიანა ჩომახაშვილი
საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზურაბ აზნაურაშვილი
ფინანსთა სამინისტრო	ნინო წიქორია
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	კახა დემეტრაშვილი
სსიპ ეროვნული არქივი	სოფიო ლონდარიძე
შინაგან საქმეთა სამინისტრო	სერგო თურმანიძე, შალვა ხაბულიანი
USAID საქართველო	ლუიზა მაკაროვა, სოფიო გურგენიძე
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სოფო ჭარელი
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	თამარ გზირიშვილი, ეტიენ ბაკე
ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	თამარა სართანია
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	ლევან ავალიშვილი, სალომე ჩუხუა
ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“	ირაკლი იზორია, ქეთი მურუსიძე